

№ 7 (1305) აპრილი 1969

საქართველოს საბჭოთაო კავშირის
საბჭოთა
 გაზეთი
 გამომცემის 46-ე წელი ფასი 20 ლარი



ნ. ჯ. ლომუაძე

— ვინაა, კაცო, ეს მოხუცი? მამი შეგვიჩვენებს გეგმას?!
 — მოხუცი კი არა, ღმერთია, 7 ღლეში ააწუნა ქვეყანა!



მე რომ მკითხოთ, სულ ტყუილად იქაჩება მარტი. დარწმუნებული ვარ, აპრილი სიცილით შეეღვევა მას და, როგორც სარწმუნო წყაროებიდან ვიცით, სამ დღეს კი არა, სამ საათსაც არ ასესხებს.

ვინ არის, ბოლოს და ბოლოს, მარტი? გაზაფხულის პირველი თვე კალენდრის მიხედვით. სინამდვილეში კი ფრიად უპრინციპო და თავქარიანი ვინმე ბრძანდება!

გაუმარჯოს აპრილს, ნაღდ გაზაფხულს, თვალის ჩაკვრით რომ მოზრბანდება და ყველასთან ძმაცაცითაა შეხუმრებული...

აპრილში წყნეთელი ბიჭი მინდორთან მიდის, მაგრამ იების მოსაკრეფად კი არა... მინდორი მწვანეა, მაგრამ, იების ნაცვლად, ექვსი პატარა დროშაა ამოსული, ზოგან თეთრი, ზოგან ცისფერი... იქით-აქეთ თეთრძელა ჭიშკრებს ჯერ კიდევ საღებავის სუნი ასდით... ძელებს შორის რეზინისტანიანი მეკარე დახტის... ხალიანი ბურთები ვაშლებივით ცვივა ბადეში.

მალე შევტანსაცმიანი კაცი ამოვა და დაუსტვენს. წყნეთელ ბიჭს სტვენით ვინ გააკვირვებს, იმდენაირი სტვენა-გალობა მოუსმენია, მაგრამ ეს ხმა ახლა ყველანაირ ხმას ურჩევნია...

წყნეთელი ბიჭი გულკეთილად უმზერს ტრიბუნებზე იებით ამოსულ მილიციელებს და სულ არ ედარდება წყნეთის ფერდობებზე მოფენილი იებისა და კორჩიოტების ბედ-იღბალი.

ბილეთი თხუთმეტი წუთის წინ იყიდა წყნეთელმა ბიჭმა ერთი ვადამყიდველისაგან, ოღონდ თავის ფასში. თურმე ყველა ვადამყიდველს საზოგადოებრივ მოლარედ დაუწყია მუშაობა სტადიონზე... დიდებული ამბავია, ყოველ ათ გულშემატკივარზე თითო მოლარე მოდის? რიგში დგომა არ გჭირდება კაცს და ნერვების წყვეტა...

ხუთკაპიანი პროგრამები საგანეთო ჯიხურში იყიდებოდა ხუთ კაპიად. პროგრამაში ზუსტად ის შემადგენლობა ეწერა, რაც მოედანზე იყო...

გაკვირვებული იყო წყნეთელი ბიჭი: თამაშის დაწყებას წამები აკლდა, მაგრამ მუხლებზე არავინ ეჯდა, ზურგზეც არავინ ფეხები არ ეწყო და თავზეც არავინ აყრიდა მზესუმზირას ჩენჩოს.

გულშემატკივრები მილიციელებს და მილიციელები გულ-

შემატკივრებს სულ „თქვენობით“ ელაპარაკებოდნენ და სიყვარულით უდიდოდნენ. არცერთ მილიციელს არ უკითხავს ჩვენები რომელიაო.

როცა მსაჯმა გუნდები გამოიძახა, მაყურებელი ორივე გუნდს ტამისცემით შეხვდა. მსაჯმა პაეროვანი კოცნა გაუგზავნა ოთხივე ტრიბუნას. წყნეთელ ბიჭს ცრემლები მოერიო...

მაყურებლებიდან არავინ იგინებოდა, სიტყვა „იდიოტიც“ კი არ თქმულა. მაშინაც კი, როცა თბილისელთა დამცველმა საკუთარ კარში გაიტანა ბურთი, არავის დაუძახია, მოედნიდან ვადიო. უყვიროდნენ, დამწვიდდი, ნუ ღელავ, ეგ ვის არ მოსგლიაო. სტუმრების მეკარე იმდენად შეწუხდა, რომ თავისივე დამცველის მიერ ხელა მიწოდებულ ბურთს ხელი არ ახლო და დემონსტრატულად გაუშვა კარში. მაყურებელმა გულთბილი ტამით დააჯილდოვა კეთილშობილი მეკარის სპორტული საქციელი.

წყნეთელი ბიჭი თვალებს არ უჯერებდა: საჯარო დარტყმის დროს დამცველები კედელს, ცხრის ნაცვლად, თურთმეტ მებრზე აკეთებდნენ და მსაჯი ეხვეწებოდა, ცოტა წინ წამოიწით, ეგრე წესი არ არისო...

ერთ მომენტში ჩვენმა დამცველმა ხელით გამოიტანა ბურთი კარიდან. ვერც მთავარმა და ვერც გვერდითმა მსაჯმა ვერ შენიშნა. მაყურებელი შეწუხდა; დამცველმა უცებ იპოვა გამოსავალი: მიიჭრა მსაჯთან და უთხრა, პენალტი უნდა დანიშნოთ, ხელით ვითამაშეო. მსაჯი კატეგორიულ უარზე დადგა. ჩვენი ფეხბურთელებიც გაჯიუტდნენ. მერე მოწინააღმდეგე ფეხბურთელებმა გვტკიცეს ცივი უარი: სიკვდილი გვიჯობს მასეთი პენალტის დარტყმასო. შეიქნა ერთი ბაზარი და წიოკობა.

ბოლოს, მსაჯი აღმფოთდა და მუქარით თქვა: თუ წესრიგს არ დაამყარებთ, შევწყვეტ თამაშს და მოგებას ჩავითვლითო! გულდაწყვეტილმა ბიჭებმა კამათს თავი ანებეს და მიმზიდველი სპორტული პაექრობა განახლდა.

თამაში ფრედ დამთავრდა. გულშემატკივრებმა მსაჯი და ორივე გუნდის კაპიტნები ხელში აყვანილი მიაცილეს გასაზღვლამდე. მათ შორის წყნეთელი ბიჭიც იყო.

ლევან ჩანტლაძე

ნახ. მ. აბაშიძისა



ბრაქტორისტის ქორწილი.

ლივური სასაღილოს მენიუ-ლექსიკონი

პირველი პარამები

- ბორში — წითელი სუბი.
- ხარჩო — სქელი სუბი.
- ბულიონი — თხელი სუბი.
- ჩიხირთმა — ყვითელი სუბი.
- სუბი — მოხარბული წყალი.

მეორე პარამები

- ატბივონი — ძვლიანი კატლეტი.
- ბივშტეჟსი — დიდი კატლეტი.
- ბიტკი — მრგვალი კატლეტი.
- შნიცელი — ბრტყელი კატლეტი.
- ქაბაბი — გრძელი კატლეტი.
- ლულა-ქაბაბი — ლავაშიანი კატლეტი.
- კატლეტი — შემწვარი პური.

რძის ნაწარმი

- არაუანი — სქელი რძე.
- ხაჟო — დაკურკულელებული რძე.
- ხაჟომცხვარი („სირნიკი“) — შემწვარი რძე.
- ყველი — დაკვეთილი რძე.
- რძე — ცარციანი წყალი.

სასაღილოს გამგე: ხაჭაპურიძე

დღეს პირველი აპრილია...

ეროვნული
ბიბლიოთეკა



თერთმეტპროტექტორიანი
სასტუდენტო ჩაჭრილია, —
ალარა სჭრას პროტექცია...
დღეს პირველი აპრილია!



თბილისს რჩება სამუშაოდ,
მეგობრები დასცინიან
და მიდიან რაიონში...
დღეს პირველი აპრილია!



ხულიგანი საკუთარი
მამის ხელით დასჯილია:
მილიციას მიუყვანა...
დღეს პირველი აპრილია!



იმპორტული საქონელი
სულ დახლს ზემოთ დაყრილია
და კაცი არ ეკარება...
დღეს პირველი აპრილია!



ყველა ამბობს ქართულ ფილმზე:
„რა ფილმია! რა ფილმია!
მსოფლიო! შედეგია!“
დღეს პირველი აპრილია!



მოსხნეს თბილი ადგილიდან,
მის ოჯახში არ ტირიან:
„მეტის ღირსი იყავით...“
დღეს პირველი აპრილია!




ავსებულა ზღვა ხალხითა
მტკვრის ორავე ნაპირია:
კატარღებით სეირნობენ...
დღეს პირველი აპრილია!



გამოცდების წინა დღეა,
კომისია გადირია:
არის ათი განცხადება
და ათასი — ადგილია!
„ეს რა სჭირსო მდინსტიტუტს?!“
დღეს პირველი აპრილია!



დღას აგვისტოს პაპანება,
ბარებს ლუდი გაპყინვით
და ყიდიან ნატყებდა...
დღეს პირველი აპრილია!



საკაფშირო პირველობა
კრივში!... „ვას“ ძახილია:
ჩემპიონი ქართველა!...
დღეს პირველი აპრილია!




მასივების ახალ ბინებს
რემონტი ხომ არ სჭირია!
თან, ჭერიდან პარკეტამდე,
სამი მეტრი მანძილია!
წყალი მოდის ცივიც, ცხელიც!...
დღეს პირველი აპრილია!



ალარ იღებს ფულს მექრთამე,
არც ოქროს და არც ბრილიანტს:
„მე ხელფასიც მეყოფათ...“
დღეს პირველი აპრილია!



ბაზრებიდან, ბაზებიდან
ქორვაჭრები გაყრილია!
გამოჩენას ვერ ბედავენ!...
დღეს პირველი აპრილია!



ავტობუსში ადგილს უთმობს
მოსუცს კაცი ყმაწვილია
და ბილეთსაც თვითონ უღებს...
დღეს პირველი აპრილია!



სოფლად დიდბ ქორწილია,
პურ-მარილი გამლილია,
ღვინოს ღვინის ჭიქით სვამენ...
დღეს პირველი აპრილია!



ამხანაგურ მშენებლობის
სადირკველი ჩაყრილია
და ერთ თვეში აშენდება...
დღეს პირველი აპრილია!



იტაცებენ ფესსაცმელებს:
კარგიცაა, არც ძვირია, —
თბილისური მარკის გახლაფთ!...
დღეს პირველი აპრილია!



სალაროსთან რიგებია...
„გაალეთო!“ — გაპყვირიან:
ხვალ ქართული დრამა გადის...
დღეს პირველი აპრილია!



ტაქსის რაგში არავინ დგას,
მძლოლი დგომით დაღლილია
და არ იცის, რა იღონოს...
დღეს პირველი აპრილია!



ჩულურეთის დასახლების
საცხოვრებელს, ასბინიანს,
ნაგვის ოცი მანქანა აქვს...
დღეს პირველი აპრილია!



ფეხბურთელთა გუნდმა, ჩვენმა,
დაამარცხა ბრაზილია
და ფინალში ინგლისს ხვდება...
დღეს პირველი აპრილია!




არსად არის მთელ თბილისში
ქუჩა — ათხრილ-დათხრილია!
ასფალტს ბზარსაც ვერ უპოვით...
დღეს პირველი აპრილია!



ტელეფონის დადგმა? ეს ხომ
სულ, სულ, სულ, სულ ადვილია,
ანუ უუუადვილესია!...
დღეს პირველი აპრილია!

ბათუ მელია



ვუნდერკინდი.



ნებაჲი ამათაც თუ უგელავენ ხორცის წონაჲი მოტყუებას?!
ნახ. მ. აბაშიძისა

ყურადღება, ყურადღება!

რადგან უფრო და უფრო სამარცხვინოდ ითვლება კაცი გერქვას და საკანდიდატო დისერტაცია არ გქონდეს დაცული, და რადგან ამის გამო თანდათან ძნელდება ახალი საკითხების მოძებნა, „ნიანგი“ მსურველებს სთავაზობს ორიგინალურსა და მეცნიერების შემდგომი განვითარებისათვის მეტად მნიშვნელოვან სადისერტაციო თემებს:

1. „მთაწმინდიდან მონაბერი ნიავისა და კოჯრიდან ჰონაბერი ნიავის იგივეობისათვის“.
2. „ზურნა-დუღუკზე დამკვრელთა სუნთქვის რეგულაცია XIX საუკუნის საქართველოში“.
3. „ბატის კვერცხში ბატისავე ჩანასახის არსებობის კერძო შემთხვევები (იგავ-არაკული მიმოხილვა)“.
4. „არასრული წინადადება, ანუ ქართული ანდაზის — „არა შეჭდა მწყერი ხესა...“ — მეორე ნაწილის თქმის არც მაინცდამაინც აუცილებლობისათვის“.
5. „რისი ტყაოსანი დაწერა შოთა რუსთაველმა?“ (XII ს. საქართველო-ინდოეთ-არაბეთის ცხოველთა ბეწვის რადიაციული ანალიზი).
5. „მოხარული დედლის ქირურგიული განკვეთა ადგილობრივი ანესთეზიის გარეშე“.
7. „პუნქტურაცია ანონიმურ წერილებში“.
8. „საჯარო ბიბლიოთეკის წიგნთა რაოდენობის განსაზღვრა ბიბლიოთეკის თანამშრომელთა პირადი დაკითხვის საფუძველზე“.
9. „მხედრის თმებისა და ცხენის ერთდროულად ყალყზე შედგომის ტრავმატოლოგიური შედეგები“.
10. „მთაწმინდის საჰაერო-საბავირო გზის ვაგონზე ახტომა-ჩინოტომისათვის შეღავათიანი ჯარიმის დაწესების ზოგიერთი პრაქტიკული“.
11. „თოვლის ბეზის არსებობის ნაშთები მატრიარქატის ეპოქის საახალწლო საბავირო ფოლკლორში“.
12. „ტელეფონით უცნობის ბინაში მოხვედრის ბუნების მოვლენებთან (ქარი, წვიმა, სეტყვა) გაიგივებისათვის“.
13. „ცირკის ლილიპუტების დაზღვეული წერილით გაგზავნისათვის გასტროლების პერიოდში“.
14. „კლუბების და აუდიტორიების განაწილების მოგვარებისათვის რამდენიმე დისერტაციის ერთდროულად დაცვის დროს“.
15. „სივრცის სიგანედ მოქცევის ინტეგრალური გამოთვლები ქართულ რძალ-დედამთილიანში“.
16. „ნემსის ყუნწში ძაფის გაყრა III საუკუნის ფშავ-ხევსურეთსა და ესპანეთის იბერიაში“.

(გაგრძელება იქნება)

გისურვებთ მალე დაცვას!

დისერტანტი ომეგა ალფანიძე

ჩვენი სყუარები

ძვირფასო ტელემაყურებლებო! დღეს, „რეროს“ აუბილუზე, ჩვენთან სტუმრად მოვიდა უცხოელი სტუმარი ბანოჯიდან. კარლოს კარსელი, რომელმაც დაათვალიერა ჩვენი ქალაქის ღირსშესანიშნავი ადგილები. ვთხოვთ მას ორიოდე სიტყვით გვითხრას თავისი შთაბეჭდილებანა.

— ვუი ნოუ, დეთ ჯორჯია იზეთ დი ფერსტ პლეიზ ინ დი ვორლდ ფორ ედიუქეიშნ...

— ის ამბობს, რომ საქართველოში ძალიან მოეწონა საესტრადო ორკესტრი „რერო“.

— აი ნოუ დი გრეით ჯორჯენ პროფესორზ მუსხელიშვილი ენდ ბერიტაშვილი.

— მას ძალიან მოსწონს „რეროს“ სოლისტები — კოროშინაძე და ბერულავა.

— აი ჰევ რედ, გამსახურდიას ნოველ ებაუდ სვეტიცხოველი „დი დექსტრა ოფ დი გრეით მასთერ“ ინ დი ორიჯინალ.

— ის ამბობს, რომ თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებს შეუძლიათ მოუგონ ბრაზილიის ნაკრებს ტაშკენტში.

— ო, აი ლაიკ გავრილ კაჩალინ, ჰუ იზ უან ოფ დი ბესტ სპეშიალისტ ოფ სოვიეტ ფუტბოლ.

— მას ძალიან უყვარს მიხეილ მესხი.

- ლევ იაშინ..
- მეტრეველი.
- ანათოლ ბანიშევიქი.

— ხურცილავა.
— ენდ იდვარდ სორელცოვ.
— და გოჩა გავაშელი.
— აი ემ ფონდ ოფ ჯაზ, ენდ ოფენ გოუ ტუ მიუზიქ-ჰოლლ, უერ დი ჯაზ-სტარზ სინგს...
— მას ძალიან უყვარს ხალხური სიმღერების შემსრულებლები...

— ფრენკ სინათრა, დორის დეი, ელა ფიტცჯერალდ.

— ილია ზაქაიძე, ეთერ კაცობაშვილი, ტატინა მახარაძე.

— მისტერ სტრავენსკი იზ მედ ოფ გურია ენდ ითს ექსტრა-ორდინარი „ქრიმანჩული“.

— ის ამბობს, რომ სტრავენსკი გიყვდება „ორგაზზე“.

— აი ლაიკ ნოთ დანსეზ...

— მას აგრეთვე მოსწონს ცეკვები...

— შეიქ ენდ ბოსანოვა...

— ბალდადური და კინტაური...

— ტუისტ ორ როკ ნ როლ..

— განდაგანა და აი ლული...

— პალი გალი...

— კრაკავიკი,
— ენდ ჩა-ჩა-ჩა.
— და ჩვენი ჭაჭა.

ამით მსურს, დავემზიდო ჩვენს ძვირფას სტუმარს! ჰაუ დუ-იუ დუ, სე ბაი დუ!

ჩვენი გადაცემები დამთავრებულია. დობროი ნოჩი, ტავარიში!

დილა მშვიდობისა, ამხანაგებო!

გადაცემა მიჰყავდა
პართილოს პასრაძეს

ბინდ ლაიჯარეთ, ბინდ არა!..

ქართული
ბავშვთათვის
ნ.ბ. მამია მალაზონი

სიმაგილეობა და სამეცნიერო სხდომებმა მეტისმეტად დამალეს. გადაწყვიტე, დასვენების დღეს სანადიროდ წავსულიყავი. მხარზე გოლან-გოლანის სანადირო თოფი ვადავიციდე, ავტობუსში ჩავჯექი და კახეთისაკენ გავემგზავრე. სოფელში რომ ჩავედი, გზაზე მოხუცი გლეხი დამეწია, თონადირედ შემიცნო და გამომეხმაურა: „თუ სანადირო ძაღლი არა გყავთ, შემოძლია, სეტერი გათხოვოთ!“ „მართალს ამბობთ?“ — უნდობლად შევეკითხე უცნობს. იგი მიმიხვდა, რომ დავეჭვდი და, თავისი პოზიციის გასამაგრებლად, ახალი ვარიანტი შემომთავაზა: „იქნებ სეტერი არ გაცუოთ. მაშინ წმინდა ჯიშის პოინტერის სანადირო ძაღლს გიშოვნიო!“ ეს უკვე მეტისმეტი იყო. შევატყუე, უცნობმა გადააჭარბა და ჩემი გამასხარება მოინდომა. შევეცადე, აქეთ გამეცურებინა თავხედი. ჯიბიდან ამერიკული სიგარეტი „კენტი“ ამოვიღე და გავუწოდე. გააბოლა. „მოგწონთ?“ — შევეკითხე, — ავსტრალიურია“ წარბიც არ შეახარა. „ამერიკული სიგარეტებიდან მე „ფილოპ მორისს“ ვამჯობინებ!“ — თქვა მან. მოულოდნელი პასუხისაგან სახტოდ დავრჩი, მივხვდი, რომ თამბაქოს სპეციალისტთან მქონდა საქმე და საუბარი ხელოვნებაზე გადავიტანე:

— ევკ: — ამოიხრა, — საღა გვყავს დიდი ბენიამინო. დღეისათვის მარტო დელმონაკო შემოვერჩა. უფრო სწორად, ჯილის შემკვიდრედ ითვლება ფურაჩიო ტალიავინი, ტურინის ოპერის ვარსკვლავი, ბელკანტოს უბადლო ოსტატი. თქვენც ერკვევით ხელოვნებაში? — კითხვა შემობრუნდა გლეხმა და ნიუ-იორკის „მეტროპოლიტენ ოპერის“ მთავარი დირიჟორის გვარი რომ ვერ დავუსახელე, გაუკვირდა, მერე ხელი ჩაიჭნია. „სე ლა ვი“ დააყოლა და ბუზლუნით გამცილდა.

„ნუთუ სოფლის კულტურის დონემ ქალაქისას გაუსწრო?“ — გამიღვია თავში. ამ დროს გზაზე სუფთად ჩაცმული ბავშვი შემომხვდა.

— საით მიიჩქარი, პატარავ? — შევეკითხე ბიჭუნას და თავზე ხელი გადავუსვი.

— ინგლისური ენის პედაგოგთან მაგვიანდება, ძია! — მომიგო მან და ნაბიჯს უმატა.

ზრდილობით სავსე ბავშვმა შორიდან მომამახა: „ჩაო!“ „ჩაო!“ — უპასუხე მეც. როგორც ჩანს, კახეთში, ტრადიციული „ჯოს“ ნაცვლად, ახლა „ჩაოს“ ხმარობენ. თვალწინ ჩემი უზრდელი შვილი წარმომიდგა და ტანში გამაყრჟოლა. სოფლის ბოლოში ვიოლინოს ტკბილი პანგები ისმოდა. უცებ ჩემს გვერდით, ავტობუსთან შეჩერდა, „ვოლვიდან“ მზიგან გარუჯული, მაკრივით. შავი კაცი გადმოვიდა და მომესალმა. ვიცანი იქაური კოლმეურნეობის თავმჯდომარე. მისმა დანახვამ ტოკიო გამახსენა. შარშან იაპონიაში ერთად ვიმოგზაურეთ. მან მეგობრულად გადამხვია ხელი და ოჯახში მიმიპატიჟა. ოთახში ჩიპენდელის ბუფეტთან მაკალაშევსკის ფირმის სერვიზი იშორებოდა. „ბლიუტენერის“ მარკის როიალზე ბავშვი ბეთჰოვენის „პასიონატას“ უკრავდა. ნახვებ გაწოლილი დოგი მუსიკას უსმენდა. მასპინძელმა ულტრათანამედროვედ ჩაცმული ჩექმებიანი ქალი წარმომიდგინა:


— იცნობდეთ, ჩემი ცოლია, ფრანგული ენის პედაგოგი, წარმოშობით ქიზიაყიდან გახლავთ! ახლახან დაბრუნდა ბადენ-ბადენის კურორტიდან. გაისად ფლორენციაში მიდის დასასვენებლად.

— სასიამოვნოა! — მოკრძალებით მივუხე მე.

ზღაპრული პურ-მარილი გაიშალა. დიასახლისი ბოდიშს იხდიდა ა ლა ფურშესათვის. ის იყო, „შამპინიონის“ მისართმევედ მოვემზადე, რომ დიასახლისმა ფრანგული კერძი კოკოვე შემოიტანა. უკან ტირილით მოჰყვებოდა პატარა ბავშვი. ხელში გაფუქნილი ბანანი ეჭირა. ბავშვი საყვედურს გამოთქვამდა, ლობიო მენატრებოდა. მშობლები შეპირდნენ, თუ კარგად მოიქცევი, ლობიოსაც მოგიხარაშავთო. მაგნიტოფირზე დაბალ ხმაზე ჩაწერილ მოსკანის ოპერა „სოფლის პატროსნებას“ ვუსმენდი. გამომშვიდობებისას შეზარბოვებულმა მასპინძელმა ორი ვეება ანანასი გამომიტანა და დასძინა, მანქანით გამოგაცილოთ თუ სუფთა პერზე მოციონი გირჩევნიათო. გაჩირადღებულ სოფელში ფეხით ვავლა ვარჩიეთ. ნადირობის თავი აღარ მქონდა. სტუმართმოყვარე ბავშვს იაპონური ტრანზისტორი „სონი“ ეჭირა და მოსტაკოვიჩის მეშვიდე სიმფონიის პანგების თანხლებით მოგვეყვებოდა.

ავტოსადგურში ელვანტურად ჩაცმულ ავტობუსის მძღოლს ვუთხარი: „თბილისში ვერ წამიყვანთ? მან ქუდი კეფაზე მოიგდო, კბილები თეთრად გააღვარა, „ოკეი!“ — წარმოთქვა და ავტობუსში შემოიძღვა. მანქანა დაიძრა. ფრანგული ენის პედაგოგმა ალერსით „ორევეუარ“ მომამახა. „ორევეუარ!“ — მივაძახე მეც ჯინისა და გლინტეინის სასმელიდან გაორებულ დიასახლისს. ჩემს წინ სოფლელი ქალიშვილები იხსდნენ და თანამედროვე მოდის ესთეტიკურ მხარეზე ცხარედ კამათობდნენ. ბოლოს, საუბრის თემა შეიცვალა: „ხვალ ჩემს დაიკოს დაბადების დღეს ვუხდით თბილისში, — უთხრა ერთმა მეორეს, — იტალიური ჩექმები და ფრანგული სუნამო „მაგრიფი“ ვუყიდე საჩუქრად სოფლის კოოპერატივში“. „ო, სანტა მარია! — იკივლა მეორემ, — როგორ დამავიწყდა ჩემი თბილისელი ძმისწულებისათვის ჩეხური კამფეტების ყიდვა?“

პროდუქტებითა და დეფიციტური საქონლით დატვირთული ავტობუსი თბილისისაკენ მიჰქროდა და მიჰქონდა სოფლის სიუხვე და ბარაქა.



— აწი აღარ ვივლი კონსერტებზე!
— რატომ, შუ კასო?!
— ხომ ხელავ, რა უხრდელევი არიან? ქალები ფხვზე დგანან და კაცები სხვან.



— ხომ არ იცი, რა გადის?
— ვერ ხელავ? მაყურებელი!



— რატომ ჩამოუპიდიათ ეს ტელეფონი ანა შუპინინველ აღბილზე?
— ხულიგანს რომ არ ეხვს თვალში.


მელაკულა კრიტიკოსი

ნახ. პ. ფირცხალაშვილი

გაარჩია მელაკულამ
მგლის ახალი ბალადა...
„ბილბასრს მუდამ ქება უნდა!“
და შეაქო ძალადა.
„თუ რამე ვთქვი მგელზე ცუდად,
მომეპყრობა ავადა“.

მაგრამ როცა გაარჩია
ელეგია კურდღლისა,
თქვა: „სიმწიფე არ აჩნია,
ვცნობ ეპოქის უღირსად!“
„რას დამაკლებს ეს ბაჭია,
ბღღერის ავადენ ბუნდღღისას“.

მისა ზილღელი.



— რატომ გაგათავისუფლეს ჯარიდან?
— ჩემი ლექსები წავუკითხე და მიტხრეს, თავისუფალი ხარო...

სიბი წყა და სხვა მკვ...

დირექტორები მიდიან და მოდიან, თაყვა-
ნისმცემლებიც მისდევენ და მოსდევენ. ახალი
დირექტორი ერთ წინააღმდეგობას აწყდება:
როგორ მოექცეს ყოფილ დირექტორის თაყვა-
ნისმცემლებს, რომლებიც, სხვადასხვა მიზეზის
გამო, მას შერჩა ხელში. აქ კი მთელი შემოქ-
მედებითი ნიჭისა და გამოცდილების გამოყენე-
ბაა საჭირო.

„თ ი თ ე უ ლ ს — თავისებურად!“ — ფი-
ქრობს ორგანიზაციული ნიჭით დაჯილდოებუ-
ლი ახალი დირექტორი ხუხუა, რომელსაც კა-
რგად ესმის მიზიდულ-მოზიდულობისა და გა-
დაბირება-გადმობირების კანონები. კარგად
იცის, რომ დირექტორებისა და მათი თაყვანის-
მცემლების ცვალებადობა პირდაპირ პროპორ-
ციულ დამოკიდებულებაშია მდგომარეობასთან.
ეს კანონები არ ეხება და ეს არ იცის თა-
ნამშრომელმა ხერხიანიძემ. იგი საოცრად იგუ-
ნებს ძველსაც და ახალსაც. დიახ, იბადებიან
ფენომენალური ნიჭით დაჯილდოებული ადა-
მიანები. ბევრი დირექტორი გაუსტუმრებია
ხერხიანიძეს და, ალბათ, ბევრსაც გაისტუმ-
რებს...

უკარებააო, ამბობენ ახალ დირექტორზე. ხე-
რხიანიძეს კი უღვაშებში ეღობება. „რას ნიშ-“

ნავს უნიჭო ადამიანები?“ — ფიქრობს იგი და
გონებაში უკარებასთან ათანაირ მისაკარე-
ბელ, დახლართულ გზებს ეძებს.

ხუხუამ მეორე დღესვე საწარმოო-საწამებ-
ლი თათბირი მოიწვია. თვითონ ბევრი ილაპა-
რაჯა. სხვებს კი ლაპარაკი არ აცალა. ბოლოს
თითის ქნევით დასძინა: მე სხვა ვინმე არ გე-
გონოთ, მე ყელაფრის შემძლე და ჩამდენი
ვარ, არავის არაფერს ვაპატიებო.

მას მართლაც გამოაჩნდა ორგანიზატორული
ნიჭი: უპირველესად კაბინეტის კარი მეორე
მხარეს გადაატანინა. საწერ მაგიდას გეოგრა-
ფიული მდებარეობა შეუცვალა. მიღების საა-
თები დააწესა და კაბინეტის წინ თითის წვე-
რებზე სიარულის შემსწავლელი წრე ჩამოაყა-
ლიბა.

უკარებააო, ამბობენ, მაგრამ ხერხიანიძე მა-
ინც მიეკარა, სმენადქცეულ დირექტორს ჩაეფ-
სკენა-ჩაენასკვა. თქვენზე ეს თქვესო, ის თქვე-
სო, უკვე ეტყობა თქვენი მზრუნველი ხელი
უკველაფერსო, უჩურჩულებს ხერხიანიძე უკა-
რება ხუხუას და კარებისკენ აპარებს თვალს.

უეცრად ხმა დაირხა, ხუხუა მოხსნესო. ასეც
უნდა მომხდარიყო, ხმამალა თქვა ხერხიანი-
ძემ.

ხუხუამ კაბინეტში იხმო ხერხიანიძე და ნადვ-
ლიანად უთხრა, მივდივარო. რა მოხდა მერე, შე
კაცო, ხომ გაგიგონია, ერთი წავა და სხვა მოვაო.
ცივად მიუგო ხერხიანიძემ.

რა ხანია ელოდა ახალ დირექტორს, რომე-
ლიც ახლახან მოსულა...

უკარებააო, თქვენ ამ ახალზეც ხერხიანიძეს
უღვაშებში ჩაეღიმა, დრო იხელთა და კაბინე-
ტში შეიძურწა, მაგრამ მოულოდნელობისაგან
კინაღამ გული გაუსკდა: მაგიდასთან ისევ ხუ-
ხუა იჯდა და გამომწვევად იღიმებოდა.

— კი მარამ, თქვენ ხომ... — ენა დაება ხე-
რხიანიძეს.


— ერთი წავა და სხვა მოვა, არა? — მკვა-
ხედ იკითხა ხუხუამ.

— დიახ, არა, დიახ, არა, არა, დიახ, არა,
დიახ! — დადნა ხერხიანიძე.

— ჰოდა, ახლა შენ უნდა წახვიდე! — და-
ქუხა ხუხუამ. მეტად უხერხულ მდგომარეობა-
ში ჩავარდნილი და გახევებული ხერხიანიძე თა-
ვის სიცოცხლეში პირველად უსიცოცხლოდ გა-
მოვიდა დირექტორის კაბინეტიდან.

ნოდარ კაკელიძე.

ნახ. პ. ლომიძისა



უსიტყვოდ.

ბიჭი და გოგო

ბიჭმა გოგოს ხელი სთხოვა იმ იმედით,
რომ... მე ბიჭი ვარ და ის გოგაო.
გოგომ უარი უთხრა იმ იმედით, რომ...
თუ მართლა ვუყვარვარ, ხელს მეორედაც
მთხოვსო.

ბიჭმა გოგოს მეორედაც სთხოვა ხელი იმ
იმედით, რომ... მათხოვარი ვის მოუქლავსო.
გოგომ ბიჭს უარი უთხრა იმ იმედით,
რომ... თუ მართლა ასე ვუყვარვარ, ხელს მე-
სამედაც მთხოვსო.

ბიჭმა გოგოს მესამედ ხელი აღარ სთხოვა
იმის შიშით, რომ... ამ უპატრონოს მართლა
მათხოვარი არ ვეგონო.

გოგოც აუღელვებლად გაშორდა ბიჭს იმ
იმედით, რომ... ცოტა არის მაგისტანა მათ-
ხოვარიო?

გაშან სვანიძე

გაბროვოელთა, რომ სოფიაში მცხოვრები ექიმი პროფესორ ვორონოვის მეთოდით მოხუცებს აახალგაზრდავებს და საოპერაციოდ წასვლა გადაწყვიტა. რკინიგზის სადგურის მოლოდინში გაბროვოელს შესთავაზა ორი ბილეთი აულო — სოფიაში და უკან, — რადგან უფრო იაფი ჯდება.

— გმადლობთ, — უთხრა გაბროვოელმა მოლოდინს, — თუ ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა, უკან ბავშვის ბილეთით დავბრუნდები.

— სად მიდიხარ? — ჰკითხა ნაცნობმა გაბროვოელს.
 — ფოსტაში. სანამ არ დაუკეტიათ, უნდა მივასწრო!
 — წერილი უნდა გააგზავნო?
 — არა. ავტოკალამში მელანი უნდა ჩავასხა.

შეხვედრის შემდეგ გადაწყვიტეს, გოგონასთან წასულიყვნენ სახლში, სანამ მისი მშობლები კინოში იყვნენ. ყოველი შემთხვევისათვის ისინი შეთანხმდნენ, რომ გოგონა სახლში პირველი შევიდოდა და ფანჯრიდან კაპიკიანს გადმოაგებდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ვაჟს შეეძლო შესულიყო.

გოგონამ კაპიკიანი გადმოაგლო და ვაჟს ლოდინი დაუწყო, მაგრამ ამ უკანასკნელმა კარგა ხანს შეიგვიანა. გოგონა ქვევით ჩამოვიდა და დაინახა, რომ ვაჟი ქვაფენილზე აფათურებდა ხელს.

— კაპიკიანს ვეძებდი. — თქვა მან.
 — კი მაგრამ, მე ხომ მას ბაწარი მოვაბი? — გაეცინა გოგონას.

თარგმანი ვასო რცხილაძისა



მთავარი რედაქტორი ნოდარ ლუმაბაძე

სარედაქციო კოლეგია:
 ზ. გოლჭავაძე (პ/მბ. მდივანი),
 ს. კლდიაშვილი,
 ნ. მალაზონია,
 ბ. ნიშნიანიძე,
 (მთავ. რედ. მორაბილი),
 ნ. შველიძე,
 ო. ზილიძე.

სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“.

თბილისი, რუსთაველის პარკის № 42.
 Тбилиси, Сатирико-юмористический журнал «Нианги».
 ტელ. რედაქტორის 99-76-69, რედ. მორაბილის 93-49-32.
 საერთო განყოფილების 93-10-78.

საბ. კვ. ცვ. ნ. გამომცემლობა. ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ.

გალავა ანაფოზა 10/111-69.
 ხელმოწერილია დასაბუძვლად 31/111-69 წ.
 ჰალალის ზომა 70x108 1/8.

ფიციპური ნაბაფი ფრ. ცილი 1,
 პირობითი ნაბაფი ფრ. ცილი 1,4.
 საბ. კვ. ცვ. ნ. გამომცემლობის სტამბა,
 თბილისი, ლენინის ქ. № 14.

ГИПОГРАФИЯ ИЗД-ВА ЦК КП ГРУЗИИ ТБИЛИСИ, УЛ. ЛЕНИНА № 14

შეკვ. № 789.
 შპ № 02106.
 ტირაჟი 107.600.

განცხადებები

დავეძებ „ვინმეს“, რადგან კადრების განყოფილებაში მითხრეს, ვინმე თუ არა გყავს, სამსახურში ვერ მოეწყობიო.

14 წელიწადია ვზივარ ციხეში, სასჯელის ვადა მითავდება 9 თვეში. გთხოვთ ჩამითვალთ დედის მუცელში ყოფნა.

პატიმრის განცხადებიდან

დავკარგე საფულე. რადგან ვიცი, რომ მაინც არ დამიბრუნებენ, ვინც იპოვნოს, მისი იყოს.

ვცვლი ლოჯიან სიდერს. თქვენი არაფერი მიწადა.

საჩქაროდ იყიდება ჩაწოლილი საქონელი, რომელიც საერთოდ არ იყიდება.

საქკვიანმრეწვეაქრობა

ქუჩაში ვილაც ახალგაზრდა მიჰყვებოდა ჩემს ცოლს. სახლში მან განმიცხადა, ის შენ იყავიო. გთხოვთ განმიმარტოთ, ცოლი მალატობს თუ მეხსიერება?

პატივი ეცით მშობლებს, მაგრამ ხელისგულზე ერბო-კვერცხის შეწვის დროს დაიცავით ხანძარსაწინააღმდეგო წესები.

ხანძარსაწინააღმდეგო მოწოდებებიდან

ვცვლი უბინაობას ნებისმიერ ბინაზე.


მიღებულია ჩიტის რძე.

მარცხენაქრობა



— ემ თუ პატიოსანი კაცია, საიდან ჰპას ყოველდღე მწვანისს?

ნ.ბ. დ. ზარაფთვილიძისა



— ბატონო ვარლამ, როდის ჩავატაროთ კრება? სამსახურში კაცივინ არაა!
 — ხვალ ჩავატაროთ, ხელფასის დღეა!

КОНТРОЛЬНЫЕ
 ЭКЗЕМПЛЯРЫ

„კანადა უნდა გავიღეს ნატოდან, რადგანაც იგი გა-
ლაიქცა არასაჭირო, უსარგებლო და საშიშ ორგანიზა-
ციადაც კი“. — განაცხადა ამას წინათ კანადის ფოსტე-
ბის მინისტრმა ბატონმა კირენსმა“.

გაზეთებიდან



მოდი, ვნახოთ კანადა,
ნებავ, ვინ ჭამს კანადას?
მიველ, ვნახე კანადა,
ნატო ჭამდა კანადას.
ნატო თხაა, ოღონდ
ომისა და ატომის;
კანადა კი — ლუკმა
ამ თხა ატომ-ბატონის.